ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის კანონის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”. განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან, რომლის თანახმადაც გამგებლის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი, ასევე შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ვლადიმერ ლომთათიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებლი ირაკლი კუჭავა

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - განკარგულების თაობაზე

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის ,,დ.ი.“ ქვეპუნქტებთან, რომლის თანახმადაც გამგებლის წარდგინებით საკრებულო უფლებამოსილია დამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

ზემოაღნიშნული განკარგულების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი *ნინო ვაჩეიშვილი*